



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია

შეფასების თარიღი(ებ): 2025 წლის 2 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 30 ოქტომბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰასან ჩაკირი, ჰასან ჩაკირი (Hasan Çakır) გაზის უნივერსიტეტი, თურქეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია მოსაშვილი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლია კურტანიძე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით ტეფნაძე, შპსსაქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინფორმატიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Informatics
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ ეხება
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	258
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული / 11.28.2018 N 170
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების	არ ეხება

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	არ ეხება

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან, ხოლო აკრედიტებულ რეჟიმში 2020 წლის ოქტომბრიდან. პროგრამა გამოირჩევა იმით, რომ აკადემიის ფართო მისიასთან აერთიანებს ტექნიკურ სწავლებას ინფორმატიკის სფეროში; იგი მიზნად ისახავს სამხედრო ოფიცრების მომზადებას, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში დაიცავენ ეთიკურ და მორალურ პრინციპებს, ექნებათ ლიდერობის უნარები და ამავდროულად კომპიუტერულ მეცნიერებებში იქნებიან საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანები. პროგრამის ორმხრივი მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალები უზრუნველყოს კვალიფიციური კადრებით კომპიუტერულ მეცნიერებებში და მოამზადოს კურსდამთავრებულები სამოქალაქო სექტორში დასაქმებისთვის. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს ეძლევათ აკადემიური საფუძველი, რომელიც აუცილებელია სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. პიროვნული თვისებების განვითარების და პროფესიული გამოცდილების ინტეგრირებით, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ წინსვლას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანას.

ქვემოთ მოცემულია მონაცემები ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შესახებ:

სწავლების ენა: ქართული

ECTS კრედიტების რაოდენობა: 258

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა: 8

მოწვეული პერსონალის რაოდენობა: 5

სტუდენტების საერთო რაოდენობა: 98

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი (4 წელი)

სალექციო ოთახები და ლაბორატორიები: კომპიუტერული ლაბორატორიები, დიზაინის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

პროგრამის მიზნებია:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე და ფუნდამენტურ მიმართულებებში ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- კომპიუტერული სისტემების და გამოთვლითი გარემოს შექმნის, განვითარების და დაცვის თანამედროვე მეთოდების სწავლება;
- თეორიულ და პრაქტიკულ კონტექსტში წარმოქმნილი პრობლემების გააზრების, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება;

- პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება.

პროგრამა მიზნად ისახავს ეროვნული თავდაცვის ძალებისთვის ოფიცრების მომზადებას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩამოყალიბებულმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 2 სექტემბერს განახორციელა პროგრამის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფი მოიცავდა ადგილობრივ დარგის ექსპერტებს, უმაღლესი განათლების ექსპერტს, სტუდენტ - ექსპერტს და საერთაშორისო თავმჯდომარეს / დარგის ექსპერტს. ადგილზე ვიზიტი იყო ერთდღიანი და განხორციელდა პირისპირ შეხვედრების ფორმატში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტაცია. 2025 წლის 29 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა წინამოსამზადებელი შეხვედრა, რათა გაეცვალათ თავიანთი მოსაზრებები თვითშეფასების ანგარიშის და მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა გასაუბრებები აკადემიის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მასალები და მატერიალურ - ტექნიკური რესურსები. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრაში მონაწილე პირები გამოირჩეოდნენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიმართ და ღიად პასუხობდნენ ექსპერტების შეკითხვებს. საერთაშორისო ექსპერტისთვის უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან, მხოლოდ 5.1 კომპონენტი განისაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

სტანდარტის (5.1) კომპონენტი

- რეკომენდებულია, პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაძლიერდეს თვითშეფასების პროცესის და შიდა შეფასების როლი, რაც განავითარებს პროგრამის ხარისხის და PDCA ციკლის განხორციელებას.

რჩევები

- სასურველია, შეფასების პროცესის გასაძლიერებლად, სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებულ იქნას კირკპატრიკის შეფასების მოდელი. (1.3);
- სასურველია, შემუშავდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ყოველწლიური გადახედვის და განახლების პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს უახლესი რეცენზირებული კვლევების, დარგობრივი სტანდარტების და განვითარებადი ტექნოლოგიების გათვალისწინებას. (1.5);
- სასურველია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება დამატებითი დარგობრივი კურსებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩართვის გზით;(2.2);
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ინფორმატიკის სფეროს აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე. (4.1);
- სასურველია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოპოვებული მრავალმხრივი მონაცემების და ინფორმაციის გაერთიანების მკაფიო მითითებები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. (5.3).

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

არ ეხება

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას თვითშეფასების პროცესისა და შიდა შეფასების როლის გაძლიერების შესახებ პროგრამის მუდმივი გაუმჯობესების პროცესში. ექსპერტთა

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ჯგუფმა წამოაყენა წინადადება კირკპატრიკის შეფასების მოდელის გამოყენების გადახედვის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა მათი პროგრამის შეფასების შემდგომ გაძლიერებას. დაწესებულებამ გამოხატა თავისი პოზიცია კირკპატრიკის შეფასების მოდელის როგორც სახელმძღვანელო ჩარჩოს გამოყენების გაგრძელების თაობაზე პროგრამის შეფასების აქტივობებში.

საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი). 8 აკადემიური პერსონალიდან 7 ფლობს დოქტორის ხარისხს. 8 მოწვეული პერსონალიდან 2 ფლობს დოქტორის ხარისხს. პროგრამის აკადემიური წევრების რაოდენობა საკმარისია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს.
- **სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები** - ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 169 სამეცნიერო ნაშრომი. აღნიშნული ნაშრომებიდან 47 გამოქვეყნებულია ადგილობრივ ჟურნალებში, 28 საერთაშორისო ჟურნალებში, ხოლო 73 წარმოადგენს საკონფერენციო მოხსენებას. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.
- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** - ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამამ შეინარჩუნა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც წარმოადგენს პოზიტიურ ასპექტს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.
- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** - ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე გამოცხადდა წელიწადში 60, 50, 50, 40, 40 ადგილი. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა მერყეობს 165 - დან 106 - მდე, რაც წლების განმავლობაში აჩვენებს კლების ტენდენციას. 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩაირიცხა 26 - დან 12 სტუდენტამდე. აკადემიური პერსონალის რაოდენობის, პროგრამის რესურსების და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.
- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.** პროგრამაზე ჩარიცხულია სულ 98 სტუდენტი, საიდანაც 57 -ს აქვს

აქტიური სტატუსი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, 1 აკადემიური პერსონალის წევრზე მოდის დაახლოებით 4 სტუდენტი, რაც მნიშვნელოვნად დაბალია დადგენილი აკადემიური სტანდარტების თანახმად.

ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ბოლო აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რაც გამოწვეული იყო შიდა შეფასებებით, გარე რეკომენდაციებით, საკანონმდებლო ცვლილებებით და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცებით. აღნიშნული ცვლილებები ოფიციალურად დამტკიცდა 2018 და 2021 წლებში მიღებული აკრედიტაციის დადებითი შეფასებების შემდეგ. შეიცვალა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, ასევე საგნების სტრუქტურა. პროგრამის საერთო მოცულობა 260 კრედიტიდან შემცირდა 258 კრედიტამდე და ამოღებულ იქნა საგანი "მთავრობა და სამართალი". გაძლიერდა შეფასების სისტემა და შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30%-დან გაიზარდა 40% - მდე.

გარკვეული ცვლილებები შეეხო სასწავლო გეგმას. დაემატა ახალი სავალდებულო კურსები, მათ შორის: ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები, პროგრამირების საფუძვლები (C++), დისკრეტული სტრუქტურები და მათემატიკური ლოგიკა, ვებ ტექნოლოგიები II, Arduino პროგრამირება და ინტელექტუალური სისტემების დიზაინი, მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტი. სასწავლო გეგმის განახლებისას ამოღებულ იქნა ზოგიერთი საგანი, როგორიცაა: ფილოსოფიის საფუძვლები, ზოგადი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა, მონაცემთა სტრუქტურები და პროგრამირება, ხელოვნური ინტელექტი და ინტელექტუალური სისტემები. არჩევითი სტატუსი მიენიჭა ისეთი საგნებს, როგორიცაა დიდი მონაცემები და მობილური აპლიკაციების პროგრამირება, ასევე მათ ინგლისურენოვან ვერსიებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოიცავდა თავისუფალ კომპონენტში სავალდებულო უცხო ენების ბლოკში ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებთან ერთად თურქული ენის დამატებას, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ მოქნილობას და აკადემიის საერთაშორისო ორიენტაციასთან შესაბამისობას. გარდა ამისა, სტუდენტების კვლევითი კომპოეტენციების გაძლიერების მიზნით, 2021 - დან 2025 წლამდე ორგანიზებულ იქნა სტუდენტური კონფერენციების სერია, რაც ხელს უწყობს აკადემიური გარემოს საერთო განვითარებას.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება

4.	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესური	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	არ ეხება
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების
სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის
საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის
განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის საჯარო გვერდზე წარმოდგენილია ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი. პროგრამა ამზადებს თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებით და მეთოდებით აღჭურვილ კვალიფიციურ სპეციალისტებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. აღნიშნული განაცხადი მკაფიოა და შეესაბამება თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ მიზნას. ის რეალისტურია საბაკალავრო საფეხურისთვის და განხორციელებადია სტანდარტული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

პროგრამის მიზნებია:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე და ფუნდამენტურ მიმართულებებში ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი კვალიფიციური და კომპურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- კომპიუტერული სისტემების და გამოთვლითი გარემოს შექმნის, განვითარების და დაცვის თანამედროვე მეთოდების სწავლება;

- თეორიულ და პრაქტიკულ კონტექსტში წარმოქმნილი პრობლემების გააზრების, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება.

გამოქვეყნებული მიზანი პირდაპირ ითვალისწინებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე და ფუნდამენტურ სფეროებს, ასევე სისტემების განვითარების და დაცვის მეთოდებს, რაც შეესაბამება ინფორმატიკის დარგს და საბაკალავრო დონის მოლოდინებს. აკადემიის ბაკალავრიატის მისია (ოფიცრების აკადემიური და სამხედრო მომზადება) ხელს უწყობს პროგრამის განთავსებას სამხედრო/საოპერაციო კონტექსტში. პროგრამა ითვალისწინებს დარგის და განათლების საფეხურის საჭიროებებს.

პროგრამის მიზანია აღწეროს ინფორმატიკის სფეროში მოსალოდნელი ცოდნა და უნარები, როგორცაა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები, გადაწყვეტილების მიღება, კომუნიკაცია და პროფესიული პასუხისმგებლობა. პროგრამის მნიშვნელობა ეროვნული თავდაცვის საჭიროებებისთვის და დასაქმების შესაძლებლობებისთვის როგორც თავდაცვის ძალებში, ისე სამოქალაქო ბაზარზე. აკადემიის მისია აქცენტს აკეთებს თანამედროვე მეთოდებით ეთიკური და ლიდერობაზე ორიენტირებული ოფიცრების მომზადებაზე, შესაბამისად, დასტურდება პროგრამის სოციალური წვლილი და ინსტიტუციურ მისიასთან შესაბამისობა. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია საბაკალავრო პროგრამების მისიასთან (აკადემიური + სამხედრო მომზადება) და ინფორმატიკასთან. აღნიშნული მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისიის დასაკმაყოფილებლად. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები აჩვენებს ინფორმატიკის დარგის ექსპერტების გუნდს, რაც ხელს უწყობს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებთან ინტეგრაციას. სხვა ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების საფუძველზე პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს.

პროგრამის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო სივრცეში არსებულ ანალოგიურ პროგრამებს. ასევე პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები დაწესებულებებთან აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების უზრუნველსაყოფად. პროგრამის მიზნები და სასწავლო კურსების ჩამონათვალი საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ - გვერდზე. საჯარო დოკუმენტებში პერსონალის ჩამონათვალი და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მითითება აჩვენებს აკადემიის პასუხისმგებლობას პროგრამის მიმართ.

პროგრამის მიზანი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია აკადემიის მისიასთან და ორიენტირებულია თავდაცვის და სამოქალაქო სექტორში დასაქმებაზე. ძირითადი სუსტი მხარეები იკვეთება გამჭვირვალობაში და გაზომვადობაში:

პროგრამას სარგებელს მოუტანს კურსდამთავრებულების გაზომვადი სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის (საგნების შედარება) დოკუმენტის, შრომის ბაზრის მტკიცებულების, ინტერნაციონალიზაციის მკაფიო შესაძლებლობების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების გამოქვეყნება, რითიც დაკმაყოფილდება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა N2
- პროგრამის სტრატეგია N3.2
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი N4
- გასაუბრების შედეგები
- აკადემიის ვებ - გვერდი www.eta.edu.ge

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს პროგრამის მიზნებს, ვინაიდან მოიცავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლებს, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პრობლემების ანალიზს, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებას, ლიდერობას, გუნდურ მუშაობას და კომუნიკაციას. ისინი სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს (ტაქტიკური ქვედანაყოფის დონის ოპერაციები) აერთიანებენ სამოქალაქო ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენციებთან, რაც აჩვენებს აკადემიის ორმაგ მისიას. წარმოდგენილია ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა / ავტონომიურობის ასპექტები. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მოქმედებაზე ორიენტირებული ტერმინებით (მაგალითად, გამოველენა, აღწერა, ანალიზი, ახსნა, დაგეგმვა, შესრულება). აღნიშნული ფორმულირება ხელს უწყობს გაზომვადობას, რომლის გასაძლიერებლად შესაძლებელია შეფასების რუბრიკების დაკავშირება. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია და რეალისტურია.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს (საბაკალავრო დონე). მითითებულია დეტალური სფერო "0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი" და ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებელი. სწავლის შედეგებში მოწინავე ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნის, გადაწყვეტილებების მიღების და ლიდერობაში პასუხისმგებლობა / ავტონომიურობის გათვალისწინება შეესაბამება საბაკალავრო დონის მოლოდინებს.

ცხადია, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებელი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დარგობრივი აღმწერები. აღნიშნული აჩვენებს, რომ სწავლის შედეგები აგებულია ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

აკადემია ხაზს უსვამს კურსდამთავრებულების 100% - იან დასაქმებას, რაც მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან ეროვნულ თავდაცვის ძალებში და შეესაბამება დამსაქმებლების მოთხოვნებს. ისეთი სწავლის შედეგები, როგორიცაა ეფექტური გუნდური მუშაობა, ლიდერობა და ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენციები, ტრანსფერულია შრომის ბაზარზე როგორც საქართველოს თავდაცვის ძალებში, ისე სამოქალაქო სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. აკადემია ასევე აღნიშნავს, რომ კურსდამთავრებულები აგრძელებენ სწავლას განათლების შემდეგ საფეხურზე, რაც ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების პროგრესიას სამაგისტრო საფეხურზე.

ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენციების ინტეგრაცია სამხედრო ლიდერობასთან და საოპერაციო შედეგებთან ასახავს აკადემიის მისიის ორმაგ თავისებურებას. სასწავლო გეგმის განახლების დროს თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს რეაგირებას დამსაქმებლების განვითარებად საჭიროებებზე.

მიუთითებულია, რომ პროგრამის განვითარებაში მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის: პრორექტორი, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები (დამსაქმებლები) და იუნკერები (დოკუმენტში აღნიშნული ტერმინი გამოყენებული იქნება კადეტთან ერთად). აღნიშნული მიუთითებს ინკლუზიურ პროცესზე, თუმცა მკაფიოდ არ არის ნახსენები კურსდამთავრებულების ან სტუდენტების მონაწილეობა.

თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა, რაც მიუთითებს, რომ სწავლის შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ციკლების შესაბამისად. აღნიშნული მიუთითებს, რომ სხვა დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების (მაგალითად, მაგისტრატურა, სხვა ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამები) სწავლის შედეგები ჰარმონიზებულია კომპლექსურობის და სირთულის თვალსაზრისით.

პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების შინაარსი ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასება მიუთითებს, რომ პროგრამის სტრუქტურამ და სასწავლო კურსების შინაარსმა უზრუნველყო სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

აკადემიის სწავლის შედეგები გაზიარებულია ვებ - გვერდის, შიდა საინფორმაციო სისტემების (Emod) და დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით. საქართველოს ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან კომუნიკაცია აჩვენებს აკადემიის მცდელობას გააცნოს პოტენციურ სტუდენტებს მოსალოდნელი სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა N2
- o სწავლის შედეგების შეფასების შედეგები N5
- o აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები N5
- o პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა N5.1
- o პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი - შეხვედრების ოქმები N5.2
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში N5.3
- o პროგრამის გარე შეფასება N5.6
- o ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ N6.1.1
- o კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, რომლებიც აგრძელებენ სწავლას განათლების შემდგომ საფეხურზე N6.1.2.
- o გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- o არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული მექანიზმი. შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს გაზომვად და მოქმედებაზე ორიენტირებულ ფორმულირებას. აკადემია იყენებს გამჭვირვალე, კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასების სისტემას, რომელიც სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ ზომავს კადეტების ცოდნას და უნარებს. შეფასების დეტალები მოცემულია სილაბუსებში, განმარტებულია სპეციალურ საინფორმაციო შეხვედრებზე და ხელმისაწვდომია Ilias - ის პლატფორმაზე და აკადემიის ვებ - გვერდზე. უკუკავშირის მექანიზმები კადეტებს აწვდიან ინდივიდუალურ მითითებებს შედეგებისა და გაუმჯობესების სტრატეგიების შესახებ.

აკადემია იყენებს კირკპატრიკის მეთოდოლოგიას, რომელიც დაინერგა ნატოს სავარჯიშოების საშუალებით, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სწავლის შედეგების, სასწავლო აქტივობების და შეფასების შესაბამისობა. აღნიშნული მოდელი აფასებს საგანმანათლებლო ეფექტურობას ოთხ დონეზე: რეაქცია, სწავლა, ქცევა და შედეგები. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზნით გამოიყენება რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის გაუსის განაწილების პრინციპები, სადაც ქულების კონკრეტული განაწილება წარმოადგენს სამიზნე ნიშნულს. იმ შემთხვევაში თუ გადახრა აღემატება 20% - ს, ხორციელდება სწავლის შედეგების და შეფასების მიდგომების გადახედვა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია იყენებს კირკპატრიკის შეფასების მიდგომას, ის ძირითადად განკუთვნილია კორპორატიული მომზადების

პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად და არა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. მოდელის გამოყენება პირველი და მეორე დონის შეფასებებში მწვავედ არის გაკრიტიკებული, ასევე არაპრაქტიკულად არის მიჩნეული მესამე და მეოთხე დონის მომზადების პროგრამების შეფასებისას. შესაბამისად, სასურველია, გადაიხედოს ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია.

პროგრამა იყენებს როგორც პირდაპირ (გამოცდები, პრეზენტაციები, პროექტები), ისე არაპირდაპირ (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და კადეტების გამოკითხვები, გარე შეფასებები) შეფასების მეთოდებს. აქცენტი კეთდება დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უკუკავშირზე, რაც ასახავს თავდაცვის სამინისტროსთან აკადემიის მჭიდრო კავშირს. პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს ანალოგიურ დაწესებულებებთან პროგრამის შედარება და გარე ექსპერტების შეფასებები, როგორიცაა ნატოს DEEP - ის მიერ განხორციელებული შეფასება. კოლეგიალური დისკუსიები და სააუდიტორიო დასწრება ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებას, ხოლო ეროვნული თავდაცვის მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამის დახვეწას.

სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს ოთხწლიან ციკლს: სწავლის შედეგების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება. დამხმარე დოკუმენტაცია მოიცავს შეფასების წესებს, სასწავლო გეგმის რუკებს, რუბრიკებს და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოებს, რომლებიც სტრუქტურირებულია ADDIE მოდელის საფუძველზე.

აკადემიამ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრული და გამჭვირვალე სისტემა. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მათ გაზომვადობას და სიცხადეს. შეფასების პროცედურები ჩაშენებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, გაზიარებულია კადეტებთან საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში და ხელმისაწვდომია Ilias - ის პლატფორმის და აკადემიის ვებ - გვერდის მეშვეობით. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას შეფასების პრინციპებზე, კრიტერიუმებზე და მოლოდინებზე.

აკადემიის შეფასების სისტემა იყენებს პირდაპირი და ირიბი მეთოდების დაბალანსებულ ერთობლიობას, კერძოდ: გამოცდებს, პრეზენტაციებს, პროექტებს, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს და გარე შეფასებებს. აღნიშნული მრავალმხრივი მიდგომა ასახავს როგორც აკადემიური მიღწევების, ისე სამუშაო გარემოს რელევანტურობას.

პროგრამა აჩვენებს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვის ვალდებულებას და ძალისხმევას. დამსაქმებლები, განსაკუთრებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონსულტაციებს, არამედ სიდრმისეულად მონაწილეობს კურსდამთავრებულების კომპეტენციების განსაზღვრაში, რაც აკადემიას ანიჭებს უნიკალურობას ეროვნულ კონტექსტში. კურსდამთავრებულების წვლილი წარმოდგენილია გამოკითხვების საშუალებით, ხოლო ნატოს DEEP - ის ექსპერტების, გარე შეფასებებში მონაწილეობით.

აკადემიამ შეიმუშავა სტუდენტთა მიღწევების მკაფიო სამიზნე ნიშნულები, რეიტინგზე დაფუძნებული ქულების განაწილების (10%-25%-30%-25%-10%) საშუალებით. მონიტორინგი ხორციელდება როგორც საგნის, ისე პროგრამის დონეზე, სადაც 20% - ზე მეტი გადახრა იწვევს პროგრამის გადახედვას და სწავლის შედეგების ან შეფასების სტრატეგიების კორექტირებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად არის ჩართული შეფასების პროცესში და გავლილი აქვთ ტრენინგი თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენების მიმართულებით. ისეთმა ინიციატივებმა, როგორიცაა "ეფექტური სწავლების" მოდული და "ტრენერთა ტრენინგის" პროგრამა, კოლეგიალურმა შეფასებებმა და დისკუსიებმა, ჩამოაყალიბა შეფასების ერთიანი კულტურა. სწავლის შედეგების შემუშავებისას, შეფასების უზრუნველსაყოფად პერსონალი იყენებს ბლუმის ტაქსონომიას, რუბრიკებს და ციფრულ ინსტრუმენტებს (მაგალითად, Ilias - ის პლატფორმა).

აკადემია უზრუნველყოფს მიზნობრივ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს პერსონალს დაგეგმონ, გაზომონ და გაანალიზონ სწავლის შედეგები. ნატოს DEEP - თან თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე დაინერგა როგორც ტრადიციული, ისე დისტანციური შეფასების მეთოდები.

აკადემიას შემუშავებული აქვს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შესახებ. კადეტები იღებენ როგორც ინდივიდუალურ ისე ჯგუფურ უკუკავშირს, ხოლო შეფასების რეგულაციები და კრიტერიუმები საჯაროდ ხელმისაწვდომია. დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ჩართულნი არიან გამოკითხვების და უკუკავშირის მეშვეობით.

როგორც ჩანს, აკადემიას დამკვიდრებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და გაუმჯობესების მკაფიო ოთხწლიანი ციკლი: შედეგების განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება, შედეგების ანალიზი და გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება. კავშირი შეფასების შედეგებს და პროგრამის ცვლილებებს შორის ვლინდება ისეთ მაგალითებში, როგორიცაა სასწავლო გეგმის დახვეწა ნატოს DEEP - ის რეკომენდაციების შესაბამისად და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის რეჟიმში სწავლების მეთოდების კორექტირება. სრულად დაკმაყოფილებულია კრიტერიუმი და მექანიზმი, რაც მიჩნეულია, როგორც სამხედრო უმაღლესი განათლების სტრუქტურირებული ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი მაგალითი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და შეფასების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა / მექანიზმი
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- პროგრამის გარე შეფასება
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში
- პროგრამის ანალიზის დოკუმენტი
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის წუკა N5.1
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შეფასების პროცესის გასაძლიერებლად, სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებული იქნას კირკპატრიკის შეფასების მოდელი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია აკადემიის შიდა რეგულაციების, ეროვნული კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (მე-6 დონის აღმწერი), ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას პროგრამის სწავლის შედეგებს, სტრუქტურას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის. პროგრამა მიყვება 3+1 მოდელს, რომელიც შედგება ძირითადი სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან, საბაკალავრო ნაშრომისგან და თავისუფალი კომპონენტისგან. სასწავლო გეგმის დიზაინი პირველ სემესტრში მოიცავს სავალდებულო საგნებს, რასაც მოსდევს მაპროფილებელი საგნები და საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იყოს მეექვსე სემესტრში. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა მოიცავს უცხო ენების ინტენსიურ სწავლებას (ინგლისური, ფრანგული, გერმანული და

თურქული). პროგრამა ასახავს უახლეს კვლევებს და ინოვაციას კვალიფიციური პერსონალის ჩართულობით, რომელთაგან ბევრი აკადემიის კურსდამთავრებულია და ინარჩუნებს საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასთან კავშირს.

პროგრამა შემუშავებულია აკადემიის შიდა მეთოდოლოგიური ჩარჩოს "აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და დამტკიცების წესის" შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს ყველა ეტაპს დაწყებული საჭიროებების ანალიზიდან საბოლოო დამტკიცებამდე. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებს, რომ მუდმივად გამოიყენება აღნიშნული მეთოდოლოგია, პროგრამის დოკუმენტები შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის რეგულაციებთან. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა მიჰყვება აკადემიის 3+1 მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების თანმიმდევრობის, თავისუფალი კომპონენტების და შემაჯამებელი პროექტის (საბაკალავრო ნაშრომი) მოთხოვნების სიცხადეს.

პროგრამა შედგება 258 ECTS კრედიტისგან, რომელიც განაწილებულია ძირითად სავალდებულო და არჩევით საგნებს, საბაკალავრო ნაშრომს და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის კომპონენტს შორის. აღნიშნული მოცულობა შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის კვალიფიკაციის მოლოდინებს. თეორიულ საფუძვლებს (მაგალითად, ალგორითმები, პროგრამირება, სისტემების ადმინისტრირება) და გამოყენებით სამხედრო - სამეცნიერო საგნებს შორის ბალანსი ასახავს აკადემიის ორმაგ მიზანს: როგორცაა საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალების და ოფიცრების მომზადება. პროგრამა რთულდება ეტაპობრივად, პირველ წელს ისწავლება მათემატიკის საფუძველბი და პროგრამირება, რასაც შემდგომ ეტაპებზე მოჰყვება სპეციალიზებული საგნები, როგორცაა მანქანური სწავლება, კიბერუსაფრთხოება და სისტემების დიზაინი. საერთო ჯამში, მოცულობა და სირთულე შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს.

ცხადია, რომ პროგრამა შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, მათ შორის საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კრედიტების გაანგარიშების რეგულაციებს. 258 ECTS კრედიტი ადასტურებს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას, უზრუნველყოფს

შედარებას და საერთაშორისო აღიარებას. თითოეული საგნის სილაბუსში დაკონკრეტებულია კრედიტების განაწილება, საკონტაქტო საათები და შეფასების კრიტერიუმები ECTS სტანდარტების შესაბამისად, რაც დასტურდება სასწავლო გეგმით. გარდა ამისა, სტრუქტურა უზრუნველყოფს სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების ბალანსს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა საქართველოში მოქმედ მსგავს ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებს შორის. აღნიშნული ინდივიდუალურობა ძირითადად გამომდინარეობს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის საგნების ინტეგრაციით, რომელიც თავისუფალ კომპონენტში მოიცავს 79 კრედიტს და ასახავს აკადემიის მისიას მოამზადოს როგორც ტექნოლოგიურად კომპეტენტური, ისე სამხედრო გამოცდილების მქონე ოფიცრები. ასეთი ინტეგრაცია უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ორმაგ კომპეტენციებს, როგორიცაა: ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ლიდერობის / სამხედრო ოპერაციების ცოდნა. გარდა ამისა, პროგრამას კიდევ უფრო განასხვავებს უცხო ენის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინგლისური, ფრანგული, გერმანულ და თურქული ენების სწავლებას და ტესტირებას ექვსივე საფეხურზე. აღნიშნული უნიკალური მახასიათებლები მორგებულია თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებს და ასახავს აკადემიის, როგორც ქვეყნის ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. პროგრამის ინდივიდუალურობას ასევე ხელს უწყობს 3+1 სტრუქტურული მოდელი, რომელიც აქცენტს აკეთებს საბაკალავრო ნაშრომზე და სტრუქტურირებულ არჩევით საგნებზე.

პროგრამის სტრუქტურა და საგნების თანმიმდევრობა შესაბამისობაშია ინფორმატიკის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან. სასწავლო გეგმა სისტემატურად ავითარებს ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი სფეროების კომპეტენციებს, როგორიცაა პროგრამირება, მონაცემთა ბაზები, ოპერაციული სისტემები, კიბერუსაფრთხოება და მანქანური სწავლება და ამავდროულად მოიცავს სამხედრო მეცნიერებებს და ლიდერობის სწავლებას. აღნიშნული ორმაგი სტრუქტურა დასაბუთებულია აკადემიის მანდატით და შეესაბამება კურსდამთავრებულის პროფილს, კერძოდ: ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს, რომლებიც ამავდროულად არიან სამხედრო ოფიცრები. პროგრამის დოკუმენტაციაში აღწერილი სწავლის შედეგები (მაგალითად, ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრობლემების გამოვლენის უნარი, ალგორითმების გამოყენება, უსაფრთხო სისტემების დიზაინი და ქვედანაყოფის

ხელმძღვანელობა) ლოგიკურად არის გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსში.

გარდა ამისა, პროგრამა აგებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე და შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმის რუკა აჩვენებს კავშირს სასწავლო კურსებს და პროგრამის მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის. სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს 5 ან 6 კრედიტი. სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება აჩვენებს, რომ კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება კურსის აქტივობების დატვირთვის შესაბამისად.

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას არ აქვს მკაფიო კონცენტრაციები სამოქალაქო უმაღლესი განათლების კონტექსტის მსგავსად, მაგრამ მთავარი მიმართულება (ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) მოიცავს სავალდებულო და არჩევითი საგნების თანმიმდევრულ მოდულს, რომელიც ასახავს პროგრამის ფართო სწავლის შედეგებს. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკითხების გამოვლენაზე, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევაზე და უსაფრთხო სისტემების განვითარებაზე. აღნიშნული სწავლის შედეგები განმტკიცებულია კონკრეტული სასწავლო კურსებით, როგორიცაა ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები, მონაცემთა ბაზების სისტემები, კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიები და მანქანური სწავლება. არჩევითი საგნები, როგორიცაა მობილური აპლიკაციების პროგრამირება ან კიბერკონფლიქტები, აფართოებს კომპეტენციებს სპეციალიზებულ სფეროებში, რითიც ავსებს პროგრამის ძირითად მიზნებს. თანმიმდევრულობა სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის აღწერილია სასწავლო გეგმის რუკებში და სილაბუსებში, რომლებიც სწავლის შედეგებს მკაფიოდ აკავშირებენ შეფასებებთან.

პროგრამის სტრუქტურა აჩვენებს სწავლების, კვლევის და სამხედრო კომპონენტებს შორის ლოგიკურ თანმიმდევრობას და შესაბამისობას. პროგრამის პირველ ეტაპზე ხორციელდება მათემატიკის და პროგრამირების საფუძვლების საგნები, რასაც შემდგომ სემესტრებში მოჰყვება ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაძლიერებული საგნები. სამხედრო მეცნიერების საგნები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, რაც უზრუნველყოფს კადეტებში როგორც აკადემიური, ისე პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. დაშვების წინაპირობები, მათ შორის მათემატიკა ან ფიზიკა, უცხო ენა და ფიზიკური მომზადება, უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე

ჩარიცხვის მსურველების მზაობას დააკმაყოფილონ პროგრამის ინტელექტუალური და ფიზიკური მოთხოვნები.

აკადემია პროგრამაში ითვალისწინებს უახლეს კვლევებს და სამეცნიერო მიღწევებს. აკადემიური პერსონალი მუდმივად უნდა ეცნობოდეს უახლეს საერთაშორისო ლიტერატურას, რასაც უზრუნველყოფს ინგლისური ენის ცოდნა და საერთაშორისო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობა. თვითმეფასების ანგარიშის თანახმად, სავალდებულო და არჩევით კურსებში გათვალისწინებულია ინფორმაციული - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებადი მიმართულებები, როგორცაა კიბერუსაფრთხოება და ხელოვნური ინტელექტი.

პროგრამა ასახავს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევას და ვალდებულებას. აღნიშნული იკვეთება რამდენიმე განზომილებაში: ინგლისურენოვანი წყაროების გათვალისწინება, უცხო ენების სწავლება ოთხ ენაზე, შესაბამისი უცხოე ენის კომპეტენციის განსაზღვრით, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლითი პროგრამებში და უცხოურ პროგრამებთან სასწავლო გეგმის შედარება. ასევე, აკადემია იწვევს საერთაშორისო ლექტორებს და მონაწილეობს ნატოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში და კონფერენციებში, რაც აკადემიურ პერსონალს და კადეტებს უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცდილებით. 2024 წელს აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა 95 ღონისძიება მნიშვნელოვანი საერთაშორისო მონაწილეობით, რაც მიუთითებს გლობალურ აკადემიურ და პროფესიულ ქსელებში აქტიურ ჩართულობაზე.

პროგრამის შემუშავების პროცესი თანამშრომლობითია. სასწავლო გეგმების შემუშავების და გადახედვის პროცესში პირდაპირ მონაწილეობდნენ შიდა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები და კურსდამთავრებულები. კადეტების უკუკავშირი უზრუნველყოფილია გამოკითხვების მეშვეობით, ხოლო დამსაქმებლები, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, აქტიურად მონაწილეობენ კურსდამთავრებულების კომპეტენციების განვითარებაში. აკადემია ასევე ითვალისწინებს აკრედიტაციის ექსპერტების და გარე შემფასებლების უკუკავშირს, როგორცაა ნატოს DEEP - ის წარმომადგენლები. დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია, როგორც აკადემიური სტანდარტები, ისე შრომის ბაზრის საჭიროებები.

აკადემიის პრიორიტეტია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა. საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, რეგულაციების და შეფასების მეთოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ - გვერდზე და შიდა საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით, როგორცაა Ilias - ის სისტემა. კადეტები იღებენ დეტალურ ორიენტაციას პროგრამის სტრუქტურის და მოთხოვნების შესახებ, ხოლო მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაშვების წინაპირობების და სასწავლო კურსების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამაში ჩართული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები
- აკადემიის ვებგვერდი <https://eta.edu.ge/>
- გასაუბრების შედეგები

:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსის / საგნისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➤ ძირითადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია აღნიშნავს, რომ „ინფორმატიკის“ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები სისტემატურად იმგვარად არის შემუშავებული, რომ შეესაბამებოდეს როგორც პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს, ისე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს (NQF). თითოეულ სავალდებულო კურსში განსაზღვრულია მკაფიო, გაზომვადი და შეფასებადი სწავლის შედეგები, ხოლო მათი მიღწევის დასადასტურებლად მოქმედებს შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც კადეტების აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით ხორციელდება. ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს კურსის მიზნების სიცხადის, პროგრამის მიზნებთან მათი შესაბამისობის, სასწავლო შედეგების ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღწერილობებთან შესაბამისობისა და სასწავლო პროგრამების სისრულის გადახედვაში. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფა აკონტროლებს შესაბამისობას საგნის მიზნებს, სწავლების მეთოდოლოგიას, სწავლის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის.

ძირითადი საგნების, როგორცაა კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიები და სისტემების ადმინისტრირება, სწავლის შედეგები ასახავს მკაფიო შესაბამისობას პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან. მაგალითად, „ინფორმატიკის“ პროგრამა მოელის, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან (ICT) დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებას და შედეგების ეფექტურად კომუნიკაციას. „კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიების“ კურსის შედეგებში მოიცავს

რისკების კლასიფიკაციის, კიბერშეტევების პრევენციისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების წარმოდგენის უნარი, რაც უშუალოდ ხელს უწყობს პროგრამის მიზანს — მოამზადოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ პრობლემის გადაჭრისა და პრაქტიკული მოქმედების უნარებს ანალოგიურად, სისტემების ადმინისტრირება მოითხოვს სტუდენტებისგან Windows Server სერვისების კონფიგურაციას, ჯგუფური პოლიტიკის მართვას და ოპერაციული პრობლემების მოგვარებას, რაც ავითარებს ბაკალავრის დონეზე მოსალოდნელ გამოყენებით კომპეტენციებს.

კურსის სილაბუსები ასახავს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის თანმიმდევრულ კავშირს. მაგალითად, კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებში, ისეთი თემები, როგორიცაა კრიპტოგრაფიული ალგორითმები, შეჭრის აღმოჩენა და რისკის შეფასება, პირდაპირ საფუძვლად უდევს დაუცველობის იდენტიფიცირებასა და პრევენციული ზომების შემუშავებასთან დაკავშირებულ შედეგებს. ანალოგიურად, სისტემების ადმინისტრირება მოიცავს Windows Server-ის არქიტექტურას, ჯგუფური პოლიტიკის მართვას და სისტემის მონიტორინგს, რაც შეესაბამება ისეთ შედეგებს, როგორიცაა სერვისების ინსტალაცია და კონფიგურაცია, მომხმარებლის წვდომის მართვა და შეცდომების აღმოფხვრა.

კრედიტების განაწილება გამოიყურება შესაბამისად განხილული სილაბუსების მიხედვით. კურსებისთვის მინიჭებული კრედიტ-საათები ასახავს კურსის შინაარსის სირთულეს. მაგალითად, კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებს 6 ECTS აქვს მინიჭებული, ლექციების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და დამოუკიდებელი სწავლების ბალანსით. ეს გონივრულია, თუ გავითვალისწინებთ საგნის ფართო სპექტრს და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების საჭიროებას. სისტემების ადმინისტრირება ანალოგიურად ასახავს კურსისთვის მოსალოდნელ დატვირთვას, რომელიც მოითხოვს როგორც თეორიულ გაგებას, ასევე მნიშვნელოვან პრაქტიკულ კონფიგურაციის ამოცანებს. ECTS-ის სამუშაო დატვირთვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

განხილული სილაბუსებიდან ჩანს, რომ შეფასების მეთოდები ყურადღებით არის შემუშავებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად. კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებში, ისეთი სწავლის შედეგები, როგორიცაა რისკის იდენტიფიკაცია და კრიპტოგრაფიული გამოყენება, ფასდება წერილობითი გამოცდების, ლაბორატორიული დავალებების და პრეზენტაციების კომბინაციით. სისტემების ადმინისტრირება აფასებს პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა სერვერების

კონფიგურაცია და პოლიტიკის მართვა, ლაბორატორიული გამოცდებისა და პროექტზე დაფუძნებული დავალებების მეშვეობით. ეს უზრუნველყოფს, რომ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე გამოყენებითი უნარები სისტემატურად შეფასდეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალურად აკონტროლებს სწავლის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის შესაბამისობას, რათა უზრუნველყოს, რომ არცერთი შედეგი არ დარჩეს შეუფასებელი. სილაბუსებში წარმოდგენილი რუბრიკები და შეფასების სქემები დამატებით უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, რადგან მკაფიოდ ასახავს, როგორ ხდება სტუდენტთა შესრულების შეფასება. ეს წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს, ვინაიდან უზრუნველყოფს განზრახულ და შეფასებულ შედეგებს შორის შეუსაბამობის თავიდან აცილებას.

კურსებში შეტანილია თანამედროვე და საერთაშორისო ლიტერატურა. მაგალითად, კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებისა და სისტემების ადმინისტრირების სილაბუსები მოიცავს სავალდებულო ლიტერატურასა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო შედეგების მიღწევას. კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიები ეყრდნობა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებს ქსელის უსაფრთხოების, კრიპტოგრაფიისა და სისტემების დაცვის შესახებ, რომლებიც ემსახურება ისეთი შედეგების მიღწევას, როგორიცაა მოწყვლადობების იდენტიფიცირება და პრევენციული ხელსაწყოების გამოყენება. „სისტემური ადმინისტრირების“ კურსში წარმოდგენილია რესურსები, რომლებიც ეხება Windows Server-ის ადმინისტრირებასა და ქსელის კონფიგურაციას, რაც უშუალოდ უწყობს ხელს იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც უკავშირდება ინსტალაციის, კონფიგურაციისა და ხარვეზების აღმოფხვრის პროცესებს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია როგორც კურსის, ისე პროგრამის დონის სწავლის შედეგების მისაღწევად.

აკადემია გამოხატავს მზადყოფნას თანამედროვე კვლევები და მიღწევები ინტეგრირდეს სასწავლო რესურსებში. სილაბუსებში წარმოდგენილია როგორც საბაზისო ლიტერატურა, ისე თანამედროვე განვითარების ტენდენციების ამსახავი მასალები. მაგალითად, კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებში რესურსები მოიცავს როგორც კლასიკურ კრიპტოგრაფიულ პრინციპებს, ისე კიბერთავდაცვის თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა შეჭრის აღმოჩენის სისტემები. „სისტემური ადმინისტრირების“ კურსი მოიცავს მითითებებს სერვერული ტექნოლოგიების თანამედროვე მიდგომებზე, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას ინდუსტრიულ პრაქტიკასთან.

გარდა ამისა, აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არსებობა უზრუნველყოფს მასალების უწყვეტ განახლებას, ხოლო პროფესორ-მასწავლებლები კურსებში აქტიურად იყენებენ ინგლისურენოვან საერთაშორისო ლიტერატურას. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, ასევე შემუშავებულია ქართულენოვანი რესურსები. ეს ორმაგი მიდგომა კადეტებს საშუალებას აძლევს, ენობრივი ბარიერების მიუხედავად უახლესი კვლევებით დაკავდნენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სილაბუსებში შეიძლება უფრო ნათლად იყოს მითითებული ბოლოდროინდელი პუბლიკაციები (მაგალითად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) და მოიცავდეს მითითებებს სამეცნიერო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჟურნალებზე ან კონფერენციების მასალებზე. ეს გააძლიერებდა კავშირს აკადემიურ სწავლებასა და მიმდინარე კვლევით მიღწევებს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამა; N2
- კურსის სილაბუსები; N2
- პროგრამის რუკები N5.1
- კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; N5
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და იუნკერების N8 გამოკითხვის შედეგები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

სასურველია, შემუშავდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ყოველწლიური გადახედვის და განახლების პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს უახლესი რეცენზირებული კვლევების, დარგობრივი სტანდარტების და განვითარებადი ტექნოლოგიების გათვალისწინებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5. სასწავლო კურსი/საგანი</u>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია უნიკალურია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რადგან ის ქვეყანაში ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი სპეციფიკური ფოკუსის გამო, პროგრამებზე ჩარიცხვის მოთხოვნებიც მკაფიოდ განსხვავებულია. ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ეს მოთხოვნები იყოს ნათელი და სამართლიანი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ და რეგისტრაციის პროცესში აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩეულ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში იმ პირობით, რომ რეგისტრაციის წელს ისინი 24 ან და ნაკლები ასაკის არიან. ბაკალავრის პროგრამაზე ჩასაბარებლად კადეტებმა უნდა დააკმაყოფილონ აკადემიის მიერ დადგენილი წინაპირობები, რის შემდეგაც მათ უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ეს ჩარჩო უზრუნველყოფს მხოლოდ იმ განმცხადებლების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო ცოდნა და კომპეტენციები მიზნობრივი სწავლის შედეგების

მისაღწევად. ამ მიზნით, აკადემია აქტიურად იყენებს მრავალ საინფორმაციო არხს, მათ შორის ოფიციალურ ვებგვერდს, სოციალური მედიის პლატფორმებსა და საკონსულტაციო სესიებს, რათა პოტენციურ სტუდენტებს მიაწოდოს ზუსტი და დროული ინფორმაცია.

გარდა ამისა, აკადემია იყენებს "კურსანტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას", რომელიც ითვალისწინებს როგორც პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებს, ასევე ინსტიტუციური რესურსების ხელმისაწვდომობას და ამით უზრუნველყოფს სწავლება-სწავლის პროცესის მდგრადობას. საერთო ჯამში, აღნიშნული მექანიზმები ქმნის იურიდიულად გამყარებულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ გარემოს, რომელშიც მიღების მოთხოვნები მკაფიოდ არის მისადაგებული პროგრამის შინაარსს, სწავლების დონესა და მინიჭებულ კვალიფიკაციას. საბოლოო ჯამში, ეს თანხვედრა ხელს უწყობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები;
- იუნკერების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
---	---------------------------------

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს; თუმცა აღინიშნება პრაქტიკული კურსების კიდევ უფრო განმტკიცების საჭიროება შესაბამისი სფეროს სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა შეიმუშავა კვლევის დაფინანსების პოლიტიკა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას როგორც საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, ასევე კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის. ამის მიუხედავად, შეფასებებმა აჩვენა სტუდენტთა უფრო ფართო ჩართულობის აუცილებლობა კვლევით საქმიანობაში, რათა მათ არა მხოლოდ შეიძინონ დისციპლინის თეორიული ცოდნა, არამედ განავითარონ პრაქტიკული უნარებიც.

აკადემია აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკულ აქტივობებში ინტეგრაციას. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიის კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია, ძირითადად მათი სპეციალიზაციის შესაბამის სფეროებში. მთლიანობაში, არსებული სისტემა ეფექტურად უწყობს ხელს არსებითი კომპეტენციების განვითარებას; თუმცა, საჭიროა შემდგომი ძალისხმევა სტუდენტთა ჩართულობის გასაძლიერებლად და მათი აკადემიური და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გასაფართოებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
- კონფერენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების კრებულები;
- იუნკერების მონაწილეობით კონფერენციების სია;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება დამატებითი დარგობრივი კურსებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩართვის გზით;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია სტუდენტზე ორიენტირებულ და დივერსიფიცირებულ სწავლების მეთოდოლოგიას იყენებს.

კურსები იმგვარად არის შემუშავებული, რომ მოიცავს არა მხოლოდ თეორიულ

ცოდნას, არამედ ინტერაქტიულ და პრაქტიკულ აქტივობებსაც. კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება თითოეული საგნის მიზნებს. ლექციები და სემინარები დაგეგმილია როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების მისაცემად. მასწავლებლები იყენებენ აქტიური სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორცაა დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, კვლევითი დავალებები და პრაქტიკული სავარჯიშოები. ეს მეთოდები ეხმარება სტუდენტებს, ჩაერთონ სასწავლო პროცესში და კრიტიკულად იაზროვნონ.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასევე ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილია სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად. ეს მოქნილი მიდგომა ყველა სტუდენტს საუკეთესო სასწავლო შედეგების მიღწევაში ეხმარება.

კურიკულუმში ასევე ინტეგრირებულია დისტანციური სწავლების მოდულები რაც ავსებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ ცვლის მათ, რითაც აძლიერებს მათ მიღწევას. აღსანიშნავია, რომ სწავლების მეთოდები მიზნად ისახავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ სტუდენტების შემოქმედებითი და ანალიტიკური კომპეტენციების განვითარებას, რაც მათ უკეთ ამზადებს რეალური პროფესიული საქმიანობისთვის. შედეგად, გამოყენებული მეთოდოლოგიები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის დონეს და დისციპლინურ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლა- სწავლების მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში (SER), საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში წარმოდგენილი კადეტის შეფასების სქემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება), მოიცავს შეფასების კრიტერიუმების დეტალურ დაშლას „ფრიადიდან“ „ვერ ჩააბარა“-მდე. თითოეული საგნის სილაბუსი განსაზღვრავს შეფასების ინდივიდუალურ მეთოდებს, ფორმებსა და კომპონენტებს, აკავშირებს მათ კონკრეტულ და გაზომვად სწავლის შედეგებთან.

შეფასების სისტემა სილაბუსებში განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე. როგორც კადეტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სწავლის დაწყებისას მათ ჰქონდათ გაცნობითი შეხვედრა აკადემიის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. ყველა სტუდენტს ენიჭება ელექტრონული ფოსტა და ILIAS პლატფორმაზე შესვლის უფლება, სადაც მათ შეუძლიათ მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია და ნორმატიული დოკუმენტაცია. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი შეფასების

სისტემა, მეთოდები და ფორმები ითვალისწინებს შემდეგ სქემას:

ა) დადებითი შეფასების ხუთი სახე:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) სტუდენტმა ვერ ჩააბარა გამოცდა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა იმუშაოს მეტი გამოცდის ჩასაბარებლად და უფლება აქვს გამოცდა ხელახლა ჩააბაროს მხოლოდ ერთხელ ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ;

(F)- ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

კურსში კადეტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამის სილაბუსში.

კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ასახავს ერთგულებას სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების მიმართ. ეს მეთოდები მოიცავს დავალებებს, ტესტებს, პრეზენტაციებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს, რაც შეესაბამება პროგრამაში პრაქტიკულ უნარებზე გაკეთებულ აქცენტს. შემუშავებული შეფასების სისტემა გამჭვირვალე და სამართლიანია, ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა საგამოცდო ნამუშევრების დაშიფვრა და სტუდენტებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების დროს კადეტებმა დაადასტურეს, რომ მათი შეფასება დაფუძნებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. ხოლო კითხვების ან გაუგებრობის შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა, გადახედონ საკუთარ სასემინარო ან საგამოცდო ნაშრომებს, მიიღონ პასუხები პროფესორებისგან/აკადემიური პერსონალისგან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასება. თუ კადეტის საჩივარი დასაბუთებულად ჩაითვლება, სააპელაციო განაცხადი გადაეგზავნება შესაბამის ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას შესაბამის სფეროში კვალიფიციური პირების მონაწილეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვებგვერდი და ელექტრონული პორტალი
- ინსტრუქციები გამოცდების ჩატარების შესახებ
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტები ს შეფასება:	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის

დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დანერგილი აქვს სტუდენტური სერვისების სხვადასხვა სახე, რომლებიც ორიენტირებულია კადეტების განვითარებისა და მხარდაჭერის აქტივობებზე. ისინი ჩართულნი არიან უმაღლესი სასწავლებლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ადგილზე ვიზიტიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების ჯგუფებში. გასაუბრების დროს კადეტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჩართულნი არიან პროგრამის შეფასების პროცესში სხვადასხვა გზით, როგორიცაა: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება, პროგრამის სტრუქტურა, ადმინისტრაცია და ა.შ. შეფასების ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეემოწმებინა ელექტრონული პლატფორმა (ILIAS), სადაც სტუდენტები იღებენ ამ კითხვარებს თავიანთი პროფესორების/აკადემიური პერსონალის შესაფასებლად და პროცესის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აკადემიური პერსონალი იღებენ უკუკავშირს. LMS აღჭურვილია სხვა შესაძლებლობებითაც, როგორიცაა ლექციებზე რეგისტრაცია, სემესტრის განრიგის მიღება, სასწავლო პროგრესის თვალყურის დევნება და მისი გამოყენება ადმინისტრაციასთან ან სასწავლო პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებად, ადმინისტრაციისგან მოთხოვნის გაგზავნა და შეტყობინების მიღება უნივერსიტეტში გარეშე, CV-ის შექმნა და ა.შ. ეს პლატფორმა აკადემიას დასავლელმა პარტნიორებმა შესთავაზეს, როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

აკადემია უზრუნველყოფს კადეტების ინტეგრირებას აკადემიის გარემოში საორიენტაციო კვირის მეშვეობით. ამ კვირის განმავლობაში მათ მიეწოდებათ ყველა სახის ინფორმაცია, იქნება ეს ადმინისტრაციული პროცედურების, საცხოვრებელში განთავსების, მათი ცხოვრების წესის თუ სხვა საკითხების შესახებ. აკადემიისათვის მნიშვნელოვანია კადეტების კულტურული, სოციალური და აკადემიური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ხოლო ამავდროულად — როგორც ეთნიკურად

არაქართველი, ისე ქართველი კადეტების შორის ინტერკულტურული მგრძნობელობის დონის ამაღლება.

აკადემია კადეტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებსა და ღონისძიებებში. კადეტებს აქვთ მრავალი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში, კონფერენციებსა და ზაფხულის სკოლებში (მათ შორის IT-თან დაკავშირებულ თემებსა და პროგრამებში) პარტნიორ სამხედრო ინსტიტუტებთან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ (ვესტ-პოინტი), საფრანგეთი, გერმანია და სხვა. უკვე მრავალი წელია, აკადემია კადეტებს სთავაზობს საჯარო ლექციებსა და სემინარებს, რომელშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ მაღალი რანგის უცხოელი სამხედრო და სამოქალაქო პირებიც, რომლებიც სხვადასხვა თემაზე მართავენ დისკუსიებსა და საჯარო ლექციებს კადეტებისთვის. მომხსენებლებს შორის არიან ისეთი მაღალი რანგის პირები, როგორიცაა აშშ-ის სპეციალური ძალების ვეტერანი სერჟანტები, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ვეტერანი პოლკოვნიკები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესვერის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, გერმანიის ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორები, საფრანგეთის სამხედრო ატაშეს მოადგილე და სხვა.

აკადემია კადეტებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს მიღმა აქტივობებს, მათ შორის სხვადასხვა სპორტულ გუნდებს (ცურვა, ხელჩართული ბრძოლა, კალათბურთი, ფეხბურთი, ვოლეიბოლი, რაგბი, მინი-ფეხბურთი, ჭიდაობა, კრივი), დრამის კლუბს და ინტელექტუალურ თამაშებს.

კადეტები იღებენ სრულად დაფინანსებულ განათლებას. გარდა ამისა, გამართული სტიპენდიების სისტემა უზრუნველყოფს ყველა კადეტისთვის ფიქსირებული ყოველთვიური სტიპენდიის გაცემას, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ დამატებითი, დამსახურებაზე დაფუძნებული სტიპენდიებიც. საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებისა და საბაკალავრო პროგრამის კადეტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, ფიქსირებული სტიპენდიის ოდენობა გაიზარდა და განისაზღვრა 320 ლარით, ხოლო 2025 წლის აპრილიდან იგი იქნება 500 ლარი, რომელიც ეძლევა თითოეულ კადეტს. დამატებითი სტიპენდია გაცივმა მხოლოდ იმ კადეტებზე, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი რეიტინგით (აკადემიური წარმატებით, ლიდერული უნარებითა და ფიზიკური მომზადების მაღალი სტანდარტებით). სტიპენდიების კრიტერიუმები და ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შემდეგი წესით:

- ა) A+ (95–100 ქულა + ფიზიკური მომზადება – 100 ქულა) – 300 ლარი + ფიქსირებული ოდენობა;
- ბ) A (91–94 ქულა + ფიზიკური მომზადება – 90 ქულა) – 200 ლარი + ფიქსირებული ოდენობა;
- გ) B (81–90 ქულა + ფიზიკური მომზადება – 80 ქულა) – 100 ლარი + ფიქსირებული ოდენობა. გარდა ამისა, 2023 წლიდან საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის კადეტები ყოველთვიურად 1200 ლარს, ხოლო 2025 წლის აპრილიდან 1320 ლარს მიიღებენ სტიპენდიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ელექტრონული პორტალი;
- ვებ-გვერდი
- კონსულტაციების განრიგი;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსება
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	--
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა	--
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	--

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი ა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

